# ჩვენი გზა

№ 20

თფილისი

1907

პარასკევი, 28 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და სალამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 20 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 20



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩვენი გზა

**გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.**

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებით ატყობს, როგორც აგენტებს, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**


ეკატერინე იაგორის ასული, ვარვარა, ნინა და დათიკო კარაპეტოვები გულით დი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი შვილისას და მეორე ძმის

**გიორგი ალექსანდრეს ძე კარაპეტოვისას.**

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება ამოცხადებული.


**29 სექტემბერს**

ტრამვაის მუსიკალურ საზოგადოებისაგან წარმოდგენილი იქნება რენესანის თეატრში

**ქართულათ**

1. **დ ა-ძ მ ა** ვ. გუნიასი
2. რუსულათ, მეირფასი კოცნა (Дорогой поцѣлуй)
3. **იმღერებს ფილარმონიული საზოგადოების ერთი წევრისაგან მომზადებული ხორო**

და 4. გაიმართება ადგილობრივი და ევროპიული **ცეკვა თამაში.**

**დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე** გამგე ტრამვაის დირექტორი **ფრიდმანი.**

**ე ქ ი მ ი**

**ივ. გომართელი**

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავათმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშევის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

**ს. ა. ლიური**

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ყურის, ყელის** და **ცხვირისა** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს. პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

იოანე იოსების ძე **კარჩუხოვი.**

გადავიდა ვერის დ ღმართზე (Верійскій спускъ) სახლი № 11. 10—7

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ელიავა**

**გადავიდა ოლგინის ქუჩაზე** № 34. (10—4)

**გამოცდილი მასწავლებელი** ამზადებს მოსწავლე ქალ-ვაჟთ ყველა საშვალო და დაბალი სასწავლებლისათვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.


## დ ე პ ე შ ა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** 27 სექტემბერი. გუშინ, 26 სექტემბერს ღამით, საგუბერნიო საპყრობილეში აღმოაჩინეს ხვრელი, რომლის შემწეობითაც გაიქცენ და მიიმალენ 38 პოლიტიკური და სისხლის სამართლის დამნაშავენი. უკანასკნელათ მიმავალი დამნაშავე ციხის დარაჯებმა შეამჩნიეს და დაიჭირეს.

ქალაქს ირგვლივ ალყა შემოარტყეს. ქალაქიდან არავის უშვებენ და არც არაფრის გატანის ნებას აძლევენ. ადგილობრივი პოლიცია გაფაციცებით დაეძებს გაქცეულებს.

გაცხარებული ჩხრეკაა. ხმები დადის, რომ რამდენიმე გაქცეულთაგანი დაიჭირესო. ქალაქში შიშიანობაა.

## მ ე ს ა მ ე თ ა ც!?

ყველა ისინი, ვისაც კი უკანასკნელ წლების მოძრაობა, სოციალ-პოლიტიკურ აღრეულობამ და ორიენტრიალმა არამც თუ არ მოუღალა გული-გონება, პირიქით, სინათლე მოფინა და გაუღვიძა, განუცხოველა საზოგადოებრივი მგრძნობიარობა, ყველა ესენი ფხიზლათ, დიდის ინტერესით და გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს მიმდინარე არჩევნების შედეგებს. უკანასკნელით დაინტერესება ეტყობა, თვით იმ ნაწილსაც, რომელიც პოლიტიკურ გულგრილობასა და აპატიას მოუცავს. ასე რომ თითქმის საერთო ყურადღებაა მიქცეული არჩევნების შედეგებისკენ და ყველა ცდილობს რაიმე ივარაუდოს მესამე დუმის შესახებ. ხშირათ სხვა და სხვა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ბანაკიდან გესმით ერთი და იგივე განცვიფრებული ამოძახილი: „მესამეთაც!?“ ამ განცვიფრებაში ერთგან ჩაქსოვილია იმედი და სიხარული, მეორეგან—მოუსვენარი გაბრაზება, შიში, მუქარა, ბოროტი გაავ-ზნევება და ყველა ის, რაც კი შეიძლება წარმოშოს საუკუნოებით მონურ ცხოვრების გამოყეყეჩებამ.

ოპოზიციონური ბანაკი წყნარათ და თავ-შეკავებით ეგებება არჩევნების პირველ შედეგებს. სამაგიეროთ ეს შედეგები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მემარჯვენე, რეაქციონურ ბანაკზე. შავრაზმელები ერთობ ხმა ჩახლეჩილი იმეორებენ: „მესამეთაც!?“ და ეს გასაგებიცაა.

დღევანდლამდე არჩეულ რამდენსამე ათას რწმუნებულებში „ჭეშმარიტ რუსებს“ ეკუთვნის მხოლოდ თითო-ოროლა აქა-იქ, კანტი-კუნტათ. სახელდობრ მუშათა კურიაში—0,5%; სოფლის საზოგადოებათა რწმუნებულებში 0,3% წვრილ მემამულეთა—1%. ეს ციფრები მჭევრმეტყველურათ მოწმობენ, რომ ის მრავალი მილიონი ხალხი, რომელიც უნდა ყოფილიყო უმაღლეს მთავრობის „საიმედო საყრდნობი“, ნამდვილათ ყოფილა ილიოდორ-პურიშკევიჩ-დუბროვინის ფანტაზიის ნაყოფი. უკვე გამოცხადებული შედეგები საკმაოთ ამჟღავნებენ „ჭეშმარიტ რუსების“ სრულ არარაობას. რაღა საკვირველია, თუ მათი პრესა უკვე გულ-ამღვრეული და აქოთებულია. ადგილობრივი „გოლ. კავკაზა“ ამ დღეებში, ასე გასინჯეთ, თვით ოფიციალურ, დეპეშათა სააგენტოს წინააღმდეგაც კი ამხედრდა: კარგათ არ იტყობინებაო. რას მიქვიან „მემარჯვენე“ და „მონარქისტი“, სწერდა გაზეთი—განა მონარქიაში „მემარჯვენე“ უეჭველათ არ ნიშნავს „მონარქისტს“? რაღა საჭიროა მათი განცალკევება? ანუ კიდევ—განაგრძობდა იგი—„ეს არაფრის გამომხატავი სიტყვები „უპარტიო“ *) და „ზომიერი“. ზრდილობა და დელიკატნობა—კარგია, მარა როცა საქმე ეხება ფაქტებს, საჭიროა საგანს თავისი სახელი ვუწოდოთო“.

მაგრამ დეპეშათა სააგენტო სწორეთ იმ ენითა და კილოთი იძლევა ცნობებს, როგორც ესიამოვნება „ნაჩალსტვოს“. წარსულ მეორე დუმის არჩევნებზედაც სააგენტო გაუთავებლივ იტყობინებოდა: „არჩეულია რუსი, მართლმადიდებელი, მონარქისტი“, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ნამდვილათ ბურთი და მოედანი დარჩენოდათ „ინოროდცებს“ *), ე. ი. დუმა აშკარათ ოპოზიციონური იყო. ეს მწარე გამოცდილება კარგათ ახსოვთ „ჭეშმარიტ რუსებს“ და ამიტომაც „გოლოს კავკაზა“ უკვე გოდებს: „მაგრამ თითქმის ამ სპეციალურ (ოფიციალურ) ცნობათა „ბუნდოვან შუშაშიაც“ საკმაოთ აშკარათ მოსჩანს მწუხარე სურათი. მომავალი მესამე სახ. დუმა გვპირდება იყოს **რუსეთის მესამე ცდუნება.** მართლაც და ხეირსა და სიკეთეს უნდა ველოდეთ ამ **უპარტიოებისაგან და ზომიერებისაგან?** (ოლონდაც). ამ მხრივ უკვე მოგვეპოება ცოტაოდენი გამოცდილება, რომელიც გვაფრთხილებს, რომ აქ საქმე უკვე ცუდათ არის. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, რომ ტელეგრაფის სააგენტოს ცნობებში ცენტრალურ ადგილის მჭერი „უპარტიონი“ და „ზომიერები“ ნამდვილათ არიან ხოლმე პარტიის ხალხი და უკიდურესათ არა ზომიერები“.

რეაქციონურ ბანაკის ასეთი ვიშ-ვიში და ჩოჩქოლი შეიძლება ცოტა გადაჭარბებული და ნაადრევი იყოს, რადგან არსებულ, 3 ივნისის საარჩევნო სისტემით არჩევნების შედეგთა გადამწყვეტია უკანასკნელი სტადიები, სადაც წინდაწინვე გამარჯვებულათ არის გამოცხადებული მსხვილი მიწათ-მფლობელობა და კაპიტალი. მაგრამ ჩვენ მაინც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რაკი დაბლითა სტადიებზე უკვე იფანტება შედედებული შავი ბურუსი, ამან მაღლითა სტადიებზე არ შეიძლება ამრჩევლებს არ მისცეს იმდენი თვალისჩინი, რომ რამოდენათმე მაინც გასჭვრიტონ რუსეთის დღევანდელი სინამდვილე. აგრარიებმა და კაპიტალისტებმა არ შეიძლება ბოლოს მაინც არ დაინახონ, რომ იგინი თავიანთ სვე-ბედს ვერ შეუერთებენ იმ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას, რომელიც ისტორიამ მარჯვეთ დააქანა უფსკრულისაკენ; არ შეიძლება არ დაინახონ, რომ თვით მათი კლასიური ინტერესი ითხოვს, სხვა არ იყოს რა, დამყარდეს ისეთი წესწყობილება, სადაც კონება და პიროვნება უზრუნველყოფილი იქნება „პაგრომებისაგან“. აი ამიტომ ჩვენ გვწამს, რომ მესამე სახ. დუმაც მთავრობას ოპოზიციაში უნდა ჩაუდგეს. ყოველ შემთხვევაში, რეაქციონერთა შანსები თან და თან მცირდება, ოპოზიციონურ დუმის მოლოდინი უფრო საფუძვლიანი ხდება. აი ამიტომაც შავების ბანაკი ჩოჩქოლშია და გამაფრთხილებელ საყვირსა სცემს. გაზ. „გოლ. კავ“. ჰკივის: „სააგენტოს“ თითოეული დეპეშა საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ—ეს თავისებური სიგნალია უბედურებისა, რომელიც მოგვიწოდებს დაღუპვისაკენ მიმავალ რუსეთის (იგულისხმეთ თვითმპყრობელობის) შველა-ხსნისათვის მოგვიწოდებს ვუშველოთ თვით ჩვენს თავს ახალ თავლაფ დასხმისაგან“.

შველა-ხსნისათვის წამოყენებულია სხვა და სხვა ზომები. უკიდურესი რეაქციონერები ითხოვენ ერთის დაკვრით და საბოლოოთ მოისპოს მთელი „კომედია“, ე. ი. სახალხო წარმომადგენლობა და მთელის „სიმშვენიერით“ აღდგეს „სანქტარო“ ძველი რეჟიმი. რეაქციის მეორე, მემარცხენე ნაწილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამჯობინებს „ძირითად კანონების“ ახალ-ახალ „ოპერაციებს“. თ-დი მეშჩერსკი გაზ. „გრაჟდანინში“ ითხოვს სახ. დუმა გამოცხადდეს მეორე პალატათ და სახ. საბჭო კიდევ პირველ (უპირატეს) პალატათ, ხოლო ორივე კი შეადგენდენ თვითმპყრობელ ბიუროკრატიის მრჩეველ დაწესებულებას. მენშიკოვი „ნოვ. ვრემია“-ში იძლევა პროექტს რუსეთი გაიყოს ორ ნაწილათ ერთი იქნება ლეგალური, მეორე არალეგალური, ე. ი. „კონსტიტუცია“ იარსებებს მხოლოდ „ჭეშმარიტ რუსებისათვის“, დანარჩენები კანონს გარეთ იქნებიან დატოვებულნი. როგორც იცით, მთელ დედამიწაზე არ არსებობს ისეთი პარლამენტი, რომ იქ სოციალისტებს და რევოლიუციონერებს თავისი ფრაქცია არ ჰქონდეთ. მენშიკოვი აცხადებს: „არავითარი რევოლიუციონერი არ უნდა იყოს პარლამენტში, სრულიად არავითარი, და უკეთუ ამგვარნი აღმოჩნდებიან, მათ უმალვე უნდა წაერთვას დეპუტატობა და დატუსაღებულ იქნან“. მთავრობის ორგანო „როსსია“ ირწმუნება, რომ მესამე დუმის ბედი თვით დუმის ხელშია, ე. ი. დამოკიდებულია იმის „შრომის უნარზე“. ხოლო შრომის უნარი კი, როგორც ვიცით, ნიშნავს მთავრობის მორჩილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში... „დიახ, გარეკა აუცილებელია, დიახ, „კრამოლნიკ“ დუმას გავრეკავთ მესამეთაც! მესამეთაც და შეიძლება მე-15-აც“!—განგაშობს რეაქციონერთა ბანაკი.

რეაქცია ბეჯითათ ეწევა ქვეყანას ბრძოლისაკენ. ხალხის წარმომადგენელთა, დუმის წამდაუწუმ გარეკა და მთავრობის მთელი პოლიტიკა ჰაი, ჰაი, რომ ვერ ამშვიდებს ვერავის და პირიქით, ხალხს თანდათან უმზადებს ბრძოლის სკოლას.

მუშათა პარტიის ვალია ხალხს სისწორით დაანახოს ცხოვრების სინამდვილე და მიუთითოს იმ ტაქტიკაზე, რასაც ეს სინამდვილე უკარნახებს.

ოპოზიციონურ რუსეთს მტკიცე რწმენით და მხიარულათ შეუძლია უცქიროს მომავალს...

*) საინტერესოა, რომ თვითონ ეს გაზეთი ამ დღეებში მოუწოდებდა ყველა რუსებს მოგროვილიყვნენ უპარტიო ბაირაღ ქვეშ „ჭეშმარიტ პატრიოტების“ ასარჩევათ.

*) შავრაზმელებმა „ინოროდეცი“ სინონიმი გახადეს ოპოზიციონერისა და რევოლიუციონერისა. ასე რომ ოპოზიციონერი თუნდ წმინდა რუსიც იყოს, მაინც „ინოროდცების“ კერძათ არის აღიარებული.

## ახალი ამბები

✦ **შერეული კომისიის კრება.** 26 სექტემბერს ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა კრება შერეულ კომისიისა. ეს კრება გაგრძელება იყო წარსული კრების. როგორც მკითხველებმა იციან წარსულ კრებაზე კომისიამ სასურველათ სცნო შემოღებულ იქნას ყველა სამრეწველო სავაჭრო დაწესებულებაში: 1) რვა საათის სამუშაო დღე, 2) აუცილებლივ დაწესებულ იქნას პირველი ერთდროული შესვენება, რომელიც უნდა განისაზღვრებოდეს ერთი საათით. რაც შეეხება მეორეთ შესვენებას მუშაობის გათავებამდის ეს გადაუწყვეტლათ დატოვებულ იქმნა; 3) კითხვა იმის შესახებ, როდის იწყებოდეს მუშაობა და როდის თავდებოდეს, გადადებულ იქნა, აგრეთვე გადაიდვა ის კითხვაც, რომელი დღეები იყოს ყოველგან სავალდებულო უქმე დღეებათ აღნიშნული.

კომისიამ 26 სექტემბრის კრებაზე მთელი დრო მოანდომა მხოლოდ შეკითხვებს, რათა გამოერკვიათ შრომის რა პირობები არის დღეს, და ამის და გვარათ კიდევ რა ცვლილებები იქნება საჭირო მიღებულ იქნას. შემდეგი კრება დაინიშნა 4 ოქტომბრისათვის. ამ კრებაზე დაესწრებიან, როგორც მუშები, აგრეთვე ხაზეინები.

✦ **ახალი წიგნი.** გადაითარგმნა და ახლო მომავალში გამოვა ქართულ ენაზე „ანარქიზმი თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიურ მოძრაობაში“ ე. კულჩინსკისა.

✦ **საარჩევნო ბიულეტინების დამრიგებლის დაპატიმრება.** 26 სექტემბერს, დილის 1 საათზე პატრულებმა შეიპყრეს თფილისის მაზრის მცხოვრები ზაქარა ჯაფარიძე, რომელიც სომხის ბაზარში შედიოდა სავაჭრო დუქნებში და არიგებდ საარჩევნო ბიულეტინებს ს. დ. კანდიდატებისას, გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა 79 ცალი ბიულეტენი ს. დ. პარტიის მიერ აღნიშნული კანდიდატებისა.

✦ **სროლა და დაპატიმრება.** 25 სექტ. საღამოს სოლოლაკის ქუჩაზე № 8 ოტენის აფთიაქის მუშები გაფიცულან და მუშაობისათვის თავი მიუნებებიათ. ოტენს ახალი მუშები მიუღია გაფიცულების ალაგას. 26 სექტემბერს საღამოს 6 ს. და 30 წ. ოტენთან შესულან სამი უცნობი და ოტენისაგან მოუთხოვიათ აეხსნა მიზეზები ძველი მუშების დათხოვნისა, იქვე მდგომ გოროდოვის განუზრახავს უცნობების შეპყრობა, როდესაც უცნობები გაქცეულან გოროდოვოი გამოკიდებია და სროლა აუტეხნა. სროლის დროს მარცხენა მხარში დაუჭრია ერთი გამქცევთაგანი ფ. ელისტრატოვი, მეორე ალექსანდრე რატიანი შეუპყრიათ. მესამეს მოუსწრია გაქცევა და მიმალვა. დაჭრილი საავათმყოფოში წაუყვანიათ.

✦ **საბალოსნო სკოლის მდგომარეობა.** ყველამ იცის რა უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება ნივთიერის მხრით თფილისის საბალოსნო სკოლა. ამის გამო არც თავის დროზე სწავლა იწყება და არც ისე სწარმოებს სწავლა, როგორც ეს სასურველია. როგორც გადმოგვცეს 1-ლ ოქტომბრიდან სკოლა გაიხსნება სწავლას დაიწყებენ ძველი მოწაფეები, რაც შეეხება ახლების მიღებას, ეს კითხვა გადაუწყვეტელია იმ დრომდე ანამ 1908 წ. შემოსავალ-გასავალი ხარჯთ-აღრიცხვა იქნებოდეს დამტკიცებული.

✦ **საინტერესო ცნობა.** როგორც „რუსსკია ვედომოსტი“ გადმოგვცემს, პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე თავისუფალ მსმენელათ შესულა ვორონეჟის გუბერნატორათ ნამყოფი კოხი, რომელიც სამსახურიდან დათხოვნილ იქნა 1906 წ. იმის გამო, რომ მან ტელეგრამა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს წევრს ვ. ი. კუზმინ-კარავაევს.

✦ **თფილ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** მედუქნე სპარსეთის ქვე-

შეურდომი ბ. ხჩო მნაცაკანოვი იარაღის შესახებ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის და მასთან, როგორც საზოგადოებისთვის მავნე პირი, დატუსაღებულ იქნა ციხეში ჯერჯერობით სამი თვით, შემდეგ იგზავნება პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე, მისი დუქანიც დაკეტილია ამავე ვადით.—ლვინის სარდაფის პატრონი ვაგზლის ქუჩაზე ს ღვინის მცხოვრები კარაპეტ სააკოვი სავალდებულო დადგენილების იარაღის შესახებ დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქნა 100 მან.—ქუთაისის გუბერნიის გლეხები ივ ოჩიაძე და ან. კებურია, როგორც მავნე პირნი სახოგადო წეს-წყობილებისა და სახელმწიფო მშვიდობიანობისათვის, იგზავნებიან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—მიხეილ დ მიტრაშვილს და გევორქ გზიროს, როგორც მავნე პირთ საზოგადოებისათვის აეკრძალათ ცხოვრება თფ. გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—სახლის პატრონი ბაგრატიონოვის ქუჩაზე ალ. პავლიევა, სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დაჯარიმებულ იქმნა 25 მ.ნ.—სოფ. მარტყოფის მცხოვრებს ალექ. კობიაშვილს, როგორც მავნე პირს საზოგადოებისათვის აეკრძალა თფილისში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდის.

✦ **ლექციები**. დღეს მეორე სავაჟო გიმნაზიაში უმაღლეს კურსებზე წაიკითხავენ ლექციებს: ნ. ი. ილინსკი—ლ. ნ. ტოლსტოიზე და ექიმი შტრეიხერი: „ფიზიოლოგია და გიტროლოგია“. პირველი საღამოს 7—8 ს., მეორე—8—9 ს.

✦ როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, ქალაქ დან **აურჩევიათ სოც.-დემ.** ი. კოზმავა. ქალაქიდან რუსებმა აირჩიეს ვ. პრეობრაჟენსკი. ხოლო სოფლელ რუსებმა—ეს—დეკი ნოსოვი. სოფლის გლეხებმა აირჩიეს ორი აფხაზი—ერთი მემარცხენე და მეორე უპარტიო.

## პარტიების ცხოვრებიდან

**მენშევიკთა ჯგუფის წერილი.** ამ დღეებში გამოვიდა მენშევიკთა ჯგუფის მეორე წერილი, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „მენშევიკებმა ყოველგვარი ღონისძიებით უნდა გამოიყენონ არსებული საერთო პარტიული პოზიციები და არაფრის გულისათვის არ უნდა ჩამოშორდენ ამ პოზიციებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათში ბოლშევიკური მიმდინარეობა ჰარობს... საერთო პარტიულ პოზიციებიდან ჩამოშორება ფაქტიურათ ძალიან ხშირათ ნიშნავს ჩამოშორებას პარტიულ მოქმედების ასპარეზიდან საზოგადოთ, და ამაზე მეტსაც კი—ჩამოშორებას ყოველგვარ პოლიტიკურ მოქმედების ასპარეზიდან. პარტიულ პოლიტიკურ მოქმედების ასეთ შესუსტებას კი შეუძლია გამოიწვიოს მეტათ სავნებელი შედეგები განსაკუთრებით დღეს, როდესაც, მეტათ ძლიერდება მუშათა მასსის პოლიტიკური გულგრილობა ერთი მხრით და სინდიკალიზმისადმი მიდრეკილება მეორე მხრივ. ამავე დროს, ბოლშევიზმის, როგორც იდეიური მიმდინარეობის, სრული და აშკარა დარღვევისა და უნიადაგობის გამო, მუშათა საერთო პარტიულ პოზიციებზე მენშევიკებისადმი სრულიადაც არ არის უიმედო. საჭიროა მოქმედება თავგამოდებით, განსაზღვრულ გეგმით და სისტემატიურათ. მენშევიკების იდეიურათ შეკავშირება, რომლისაც ჩვენ ვისახავდით მიზნათ, საჭიროა იმისათვის კი არა, რომ სისტემატიურათ ბოიკოტი გამოუცხადოთ, სახელი გავუტეხოთ და მოვშალოთ ყველა პარტიული დაწესებულებანი, როგორც ერთ დროს ამას ბოლშევიკები ჩადიოდენ მენშევიკების შესახებ; აღნიშნული შეკავშირება საჭიროა უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ საერთო პარტიულ პოზიციებზე წესიერი მუშაობით პარტიის ინტერესებისათვის გამოვიყენოთ ბოლშევიზმის ღარღვევა.

„**რუსის ხალხის კავშირის**“ განყოფილებებს დაეგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: „კავშირის“ მთავარი საბჭო ადასტურებს, რომ კავშირის არც ერთ განყოფილებას უფლება არა აქვს ბლოკით შეეკრას ისეთ პარტიას, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის შეზღუდვას ესწრაფვის. მთავარი საბჭო წინადადებას აძლევს ყველა განყოფილებებს—შეასრულონ ხელმწიფის ნება და აირჩიონ მეფის ერთგულნი—„რუს. ხალხის კავშირის“ წევრნი. არჩევნების საწარმოებლათ უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ ის ფული, რომელიც კავშირისათვის საგანგებოთ ამ მიზნით შეუწირნიათ კერძო პირებს, მაგრამ განყოფილებებმა არამც და არამც არ უნდა ისარგებლონ იმ ფულით, რომელსაც მთავრობა იძლევა, რადგან მთავრობას ზნეობრივი უფლება არა აქვს ხარჯოს ხალხის ფული ოქტომბრისტულ დუმის შედგენათ რუსის ხალხის კავშირის შემწეობით. თუ ფული არ იშოვება, უკეთესია არჩევნებში დამარცხება, ვინემ ოქტომბრისტებთან შეთანხმება და ამ შეთანხმებასთან ერთათ მთავრობის ფული და საქმეთ გამორჩევა.

## პროვინცია

**ონი** (რაჭა). აგერ ერთი თვე გადის და ონის საქალებო სკოლის კარები ისევ დაკეტილია. სწავლის მსურველი ბევრია. მიდიან და, რა დაკეტილი უხვდებათ ისევ უკან ბრუნდებიან. მიზეზი ის არის, რომ ძველმა მასწავლებელმა ქ. ბაქრაძისამ თავი დაანება მასწავლებლობას და დირექციის ჯერ არავინ დაუნიშნავს მის ადგილზე, თუმცა მთხოვნელები როგორც ამბობენ, ბევრია.

დაკეტილია აგრეთვე სამკითხველოს კარები, მაგრამ მიზეზი კი სულ სხვა გახლავთ. ამ რამდენიმე წლის წინათ ბ-ნი ნიკო მრევლოვის მეცადინეობით ონში გახსნეს უფასო სახალხო სამკითხველო, აუშენეს საკუთარი ლამაზი შენობა. სამკითხველოს საქმე კარგათ მიდიოდა, სანამ მას ნიკო მრევლოვი განაგებდა. მას შემდეგ, რაც ნიკო მოკვდა, დალია სული მასგან დაარსებულმა სამკითხველომაც. ჯერ იყო და ნახევარი წელიწადი მისი კარები მხოლოთ იყო ჩაკეტილი და სტოლებზე თაგვები დახრაგუნობდენ. როგორც იქნა ამ ზამთარში მოიყარეს თავი, მოაგროვეს ერთმანეთს შორის ფული, გამოიწერეს ქართულ რუსული ჟურნალ-გაზეთები და ამითი ძლივს გამოაღვიძეს მიძინებული საქმე. ონის ბიუროკრატიამ სამკითხველოს გამგეთ ერთი თავის წევრთაგანი, დ-დ ჯამაგირიანი ბობოლა დანიშნა. ჩვეულებრივ ეს საქმე მას მალე მოსწყინდა, რადგან თითქმის ამავე დროს ონში დააარსეს კლუბი, რომლის მამასახლისათ სამკითხველოს იგივე პირი აირჩიეს. დღეს სამკითხველოს გამგე კვირაში ორჯერ იხსნება, მაგრამ ორი გაზეთის მეტი („ჩვენი გზა“ და „ისარი“) არაფერი არ მოსდის.

ონის საზოგადოება მოვალეა მოაწყოს სამკითხველოს საქმე რიგიანათ იმიტომ მან უნდა მოახდინოს კრება, ამოირჩიოს გამგე კომიტეტი რომელიც რიგიანათ გაუძღვება საქმეს. აგრეთვე ამოირჩიონ სარევიზიო კომისია და სხ.

ონში ბევრია მოზარდი ახალგაზრდობა, რომელთათვის სამკითხველო პირველ დასაწყის სკოლათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეხლა ყველა მაღაზიები და სახელოსნოები ექვს საათზე იკეტება. თავისუფლათ დარჩენილმა შეგირდმა და ნოქრება დროს მოსაკლავათ რომ სამიკიტნოებში არ დაიწყონ სიარული, საჭიროა მათი ყურადღება სამკითხველოსაკენ მიიქციონ და შესაფერი წიგნაკები და ჟურნალ-გაზეთები მიაწოდონ.

დანიელ რაზმაძის უდროო სიკვდილმა მთელი მოწინავე ზემო-რაჭველობა შეაწუხა. ყველა გლოვობს მის უდროოთ სიკვდილს. მისი სახელი თითოეულ ოჯახში იყო და იქნება კიდევაც.

ხიხამთელი.

—

**სოფ. ნინოწმინდა**. (გარეთ კახეთი) გლეხებმა იციან, შემოდგომაზე ხორცი ტკბილიაო. ალბათ ამისთვის გააძლიერეს თავიანთი მოქმედება ჩვენებურმა ქურბაცაცებმა, ისე კვირა არ გავა, რომ რამოდენიმე ცხვარი, ღორი, ძროხა არ მოიპარონ და არ ატირონ ღარიბი გლეხის ოჯახი. სექტემბრის პირველ რიცხვებში ნასყიდაშვილს მოჰპარეს ცხვარი. საწყალმა გლეხმა მეორე დღეს იჩივლა თავის მეზობლებში. გულკეთილმა მეზობლებმა მამასახლისის დახმარებით დაუწყეს ქურდს ძებნა. კვალს ჩქარა მიაგნეს. ფეხებ გაკრული ცხვარი იქვე სოფლის ახლო ხევში იპოვნეს: ქურდებს ვერ მოესწროთ ცხვრის შორს წაყვანა. გლეხებმა მოილაპარაკეს ღამე ეყარაულნათ და ქურდები დაეჭირნათ, რისთვისაც ცხვარი იქვე დასტოვეს. საღამოთი ჩახმახიანი თოფებით გლეხები ჩაუსაფრდენ შორი ახლო და უცდიდენ ქურდებს. შუაღამისას ჩუმათ მიიპარა ოთხი კაცი და ჩავიდენ ხევში ცხვრის ამოსაყვანათ. ყარაულებს შესძახეს დამდგარიყვენ, მაგრამ თავ-რეტ დასხმული ქურდები აქეთ იქით გაქცეულან. ამ დროს უსროლიათ თოფი და ახალგაზრდა ოცდაორი წლის კაცი კრიმა შიოშვილი იქვე მოუკლავთ. დანარჩენნი გაქცეულან, მხოლოდ ერთი გაქცეულთაგანი ყოფილა ძმა მოკლულისა, რომელიც უცნიათ ხმაზე, დაუძახნია „ვაიმე ძმა მომიკლესო“. თოფის ხმაზე ხალხი შეგროვდა. მესამე დღეს მოვიდა ბოქაული იახშიბეგოვი საქმის გამოსაძიებლათ და ოქმის დასადგენათ. მთელმა სოფელმა თავი მოიყარა. უნდოდათ სახალხოთ გამოეკითხათ მოკლულის ძმისთვის დანარჩენი ორი ქურდის ვინაობა, მაგრამ ბოქაულმა დაუშალა—რადგანაც ძმას ასაფლავებდა. მხოლოდ მამასახლისს უთხრა მეორე დღეს გაეგზავნა სართიჭალაში, რაიც შეასრულა. გლეხებს ეგონათ ეს არის მეორე ქურდიც მოვიშორეთო, ციხეში ან ციმბირში გაგზავნიანო, მაგრამ რაღაცა მოსაზრებით ბოქაულს უკანვე დაებრუნებინა და შიოშვილი საღამოსვე გვეწვა. გლეხებს ვერ გაუგიათ რითი იხელმძღვანელა ბოქაულმა და გაანთავისუფლა. წარსულ კვირას სოფელმა ყრილობაზე დაადგინა: იარაღი არავინ ატაროს სოფელში. ამოირჩიეს 7 კაცი, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ და განახორციელონ ეს დადგენილება. ქურდებს, როგორღაც დადგენილება არ მოეწონათ და ყრილობიდან გაიპარენ.

— სექტემბრის პირველ რიცხვებში ნინოწმინდელი გლეხი შ. ს. სწვევია ღამე საგარეჯოს „გაღმა უბნელ“ ქმარშვილიან დედაკაცს. შ. ს. არ სცოდნია, რომ ქალს ქმარი და დავაჟკაცებული შვილები შინ ჰყავდა და გულდაგულ მისულა სახლში. მოსვლია კაცებთან შეტაკება და რომ ხელიდან გამოსხლტოდა სამივე—ქმარი და ორი შვილი, დანით დაუჭრია. საზოგადოება ძალიან აღელვა ამ შემთხვევამ. მოიყარეს თავი გლეხებმა და შ. ს. თვითონვე გაასამართლეს. ერთი მცირე ნაწილი ისე იყო აღელვებული, მეტადრე დედაკაცები, რომ გადაჭრით თხოულობდენ ჩაქვავებას, მხოლოდ უმრავლესობა—სასტიკი დასჯას. მიუსაჯეს შ. ს. ოთხი თუმნის გადახდა დაშავებულთა სასარგებლოთ, სოფელს ხელწერილი მისცა, რომ ამის შემდეგ ცუდს არაფერს იზამს და ამის შემდეგ ვირზე შესვეს, პირი ტალახით მოუსვარეს და მთელი სოფელი შემოატარეს. ამავე დროს გარეჯელებს შესვათ დედაკაცი ვირზე და ეტარებინათ.

## საარჩევნო კამპანია.

— გაზ. „ტოვარიშჩს“ მისვლია წერილი, რაზედაც ხელი უწერია ბალტიის გემთა ამშენებელ ზავოდის 50 მუშას. წერილის ავტორები გამოთქვამენ იმ რწმენას, რომ მხოლოდ სრულ დემოკრატიულ წარმომადგენლობას შეუძლია ხალხის საჭიროების დაკმაყოფილება, და აცხადებენ, რომ მათ სურთ გამოიყენონ თავიანთი საარჩევნო უფლება, რაც უნდა იგი შეკვეცილი იყოს ამჟამათ. შემდეგ ისინი პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მათ უფლება წაერთვათ მუშათა კურიაში და რომ, მათ, როგორც ბინის დამქირავებელთ, მუდამ წინ ეღობებათ დაბრკოლება: უჩასტკიდან მათ ერეკებიან ქალაქის გამგეობაში, იქიდან კი ისევ უჩასტკაში; კანონის წინააღმდეგ მათგან თხოულობენ ღერბის ფულს—2 მ. და 40 კ. მოწმობის მიცემის დროს,—ასე რომ ბოლოს და ბოლოს ფაქტიურათ მუშებს სრულიად ესპობათ საარჩევნო უფლება, ამიტომ მუშებს გადაუწყვეტიათ მოითხოვონ კიდევ ორი კვირის ვადა საარჩევნო კომისიაში განცხადებათა შესატანათ, როგორც მოსკოვის მუშებს მისცეს ასეთი ვადა.

— ქ. კოზლოვში პოლიცმეისტერმა გააფრთხილა ებრაელები—არჩევნების დღეს გარეთ არ გამოხვიდეთო; ერთ მათგანს კი უთხრა: თუ ვინმე თქვენგანი ქუჩაზე გამოვიდა, მაშინვე დაპატიმრებულ იქნება. ზოგიერთი ებრაელები ამ დღისათვის ქალაქიდან წასვლას აპირებენ.

— ელისავეტგრადში მუშათა არჩევნების წინ სოც.-დემ. კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი, რომლითაც მოიწოდებდა მუშებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ამის მიუხედავათ ზოგიერთ ზავოდებში ბოლშევიკები ენერგიულ აგიტაციას ეწეოდენ ბოიკოტის გასატარებლათ. მაგრამ ამ აგიტაციამ ვერ მოიპოვა თანაგრძნობა და არჩევნები მოხდა ყველგან, ერთი ზავოდის გარდა, სადაც ჭარბობდენ „მოკავშირენი და სადაც მემარცხენე მუშებმა მონაწილეობა არ მიიღეს არჩევნებში, რომელიც ამის გამო აღარ შესდგა. ყველგან მემარცხენენი გავიდენ, ზოგიერთი მათგანი წინანდელ არჩევნებზედაც იყო არჩეული.

— ნოვო-მოსკოვსკის მაზრის ერთ-ერთ ვოლოსტში გლეხებმა გადაწყვიტეს რწმუნებულათ აერჩიათ მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი ნოსიკი, მაგრამ მამასახლისმა ნება არ მისცა და გლეხები გარეკა.

— იმავე მაზრის სამღვდელოებამ რწმუნებულებათ უმეტეს ნაწილათ პროგრესისტები აირჩია, რომლებიც საგუბერნიო კრებისათვის ვიბორშჩიკის არჩევის დროს

---

## უკანასკნელი შეხვედრა
(მოთხრობა ს. სავინკოვისა).

შუაღამე გადასული იყო. ქალაქ №.. ქუჩებში დროის შესაფერი სიმშვიდე სუფევდა. ეს მყუდროება დაარღვია მოსახვევ ქუჩიდან გამოჩენილმა ეტლმა. შიგ ორი მოხუცი იჯდა. კაცს ეტყობოდა რაღაც სულიერი მღელვარება და სევდიანათ ჩუმდებოდა, ქალი კი შეუჩერებლივ ლაპარაკობდა. ეს განუწყვეტელი, ხშირათ უთავბოლო ლაპარაკი თუმცა ძრიელ აბეზრებდა მას თავს, მაგრამ ითმენდა, გრძნობდა, რომ დედის მტკივან გულს ოდნავ ნუგეშს ჰგვრიდა, დროებით მაინც ართობდა ამით იგი თავის თავს.

— საკვირველებაა სწორეთ,—ლაპარაკობდა ქალი,—რამდენჯერ ვიშუამდგომლეთ, როგორ ვემუდარებოდით ყველას, რომ ჩვენი ვალოდიას ნახვის ღირსი გავეხადენეთ. არა და არა! ეხლა კი ამ უდროოთ, შუაღამისას, როცა უკვე ყველანი თითქმის ძილს მისცემიან, ერთბაშათ „მობრძანდითო“. ნეტა რა უნდა იყოს ასე უეცრათ დაძახების მიზეზი? რატომ დღისით არ დაგვიძახეს, ჰა, შენ როგორ ფიქრობ?..

— არ ვიცი!—მოესმა ქმრისაგან ცივი პასუხი.

— არც მე ვიცი! როგორღაც გული შემომკვნესის, მძიმე ლოდივით სევდა მომაწვა. დღეს მთელი დღე გულმხურვალეთ ვლოცულობდი. ჩემს ვალოდიას ვავედრებდი ღმერთს. ეხლაც ღვთის მშობლის ხატის წინ ვიყავ მუხლ-მოდრეკილი, რომ უცბათ ზარის ხმა მომესმა! მართლაც შვილის სანახავათ არ ვაგვიწვევენ. იქნებ იმინა უფალმა ჩვენი ვედრება და შვილი თავმდებ ქვეშ მაინც გაანთავისუფლოთ. როგორ გგონია შენ, ჰა!?

— არა ვიცი-რა! ნურას მეკითხები!

— როგორ არის დაგეკითხო გეთაყვა! თუ შენ არა, მაშ სხვას ვის რა უნდა ვკითხო. განა ჩვენ ერთათ არ აღვზარდეთ, ერთათ არ ვუვლიდით, ერთათ არ ვიზიარებთ ეხლანდელს მწუხარებას? რამოდენი წვალება, ვაი-ვაგლახი ჩვენ გამოვიარეთ. სად გაგონილა, გეთაყვანეთ, ესეთი ამბები? თითქმის მშობლებათ აღარც კი გვიცნეს! განა მათ ჩვენს შვილზე, ჩვენზე მეტი უფლება აქვთ თუ?.. ყმაწვილი დაატუსაღეს, არც კი ამბობენ თუ რისთვის?.. ნახვის ნება არ დაგვრთეს, სათხოვნელათ მისულთ არ გვისმენდენ... გაგონილა...

მოხუცი კაცი წინანდებურათ სდუმდა... არა საიმედო ღრმა ფიქრებმა გაიტაცეს იგი... ვინ ნახავს ის ამ საათში... თავის ვაჟს!.. ნუ თუ იმიტომ აღზარდა იგი, რომ ამ სიბერის ჟამს მის ეხლით ბედს შესწირებოდა იგი... განა არა ერთხელ გაუფრთხილებია, დაურიგებია შვილი, მაგრამ ამაოთ... მისმა მაღალმა ახალმა აზრებმა, მისმა მისწრაფებებმა, მამაცურმა მიდრეკილებამ დასძლია მას, მამის პოზიციას... შვილის ყოველ შეკითხვამოსაზრებებს, მამა მხოლოდ ოცნავის ღიმილით ან მხრების შემმუშვნით ღა უპასუხებდა ხოლმე... ცხადათ გრძნობდა, რომ მისი ძველი მოსაზრებანი დამარცხებული, ყოველ მუხლში ჩაჭრილი იყო... მაგრამ, მით უმეტეს მას უყვარდა თავისი ერთათ ერთი ვაჟი. უყვარდა ძრიელის სიყვარულით ისეთი, როგორიც იყო იგი... რა მოელის მას?.. ცივმა უიმედობამ შეიპყრა მისი გონება... მან ხელი გადისვა გახურებულ შუბლზე და თავისდა უნებურათ გულის სიღრმიდან მძიმე ოხვრა აღმოხდა...

— მივედით!—მოწყენით უთხრა მან ცოლს.

მეორე ეტლი, რომელიც მათს ეტლს მოსდევდა, უცბათ გაჩერდა. ეტლში მჯდომი ჟანდარმის აფიცერი მკვირცხლათ გადმოხტა და ცოლ-ქმარს მიუახლოვდა.

— „გამომყევით მე!“—ძალდატანების თავაზიანობით სთქვა მან. მოხუცნი მძიმეთ ჩამოვიდენ ეტლიდან და აფიცერს გაჰყვნენ.

ციხის ვეებერთელა ეზო, მაღალი ფერმკრთალი ფანრების შუქზე, ნახევრათ ჩაბნელებული იყო. გარშემო სამარისებური სიჩუმე იდგა. ამ მყუდროებას არღვევდენ ხოლმე აქეთ-იქით კუთხეებში მდგარი შეიარაღებული ჯარის-კაცნი.

უცხო მგზავრები იდუმალმა შიშმა შეიპყრო. იგინი ანგარიშ მიუცემლათ წინ მიდიოდენ.

ოთახი, სადაც ჟანდარმის აფიცერმა შეიყვანა ისინი, იყო ზომით პატარა, უბრალოდ მორთული. მთელ მის მოწყობილებას შეადგენდა რამოდენიმე სკამი და გრძელი მაგიდა. რომელზედაც ულაზათოდ ეყარა სხვა და სხვა ზომის ქაღალდები და საწერ-კალამი... ამ ოთახშიაც ისეთივე უსიცოცხლობის ელფერი ედო ყველაფერს, როგორც მთელს ციხის კარ-მიდამოში...

ჟანდარმის აფიცერმა უსიტყვოდ მიუთითა მოხუცთ სკამებზე და გავიდა.

მარტოდ დარჩენილნი ცოლ-ქმარნი ნაღვლიანის გამომეტყველებით მიაცქერდენ ერთმანეთს. შემკრთალი, მოხუცი ქალი წამოდგა, და ნელის ნაბიჯით ქმარს მიუახლოვდა. მან ქმრის ჭაღარა თმას მოხვია ხელი, და სულგანაბულმა ჩასჩურჩულა:

— ამ დღესაც მოვესწარით! რა გაეწყობა, ალბად უფლის ნებაა! აღსრულდეს მისი წმინდა ნება!..

ამ მოულოდნელმა ალერსმა მოხუცს გული აუჩვილა, ის იყო, რაღაც ხრინწიანი ხმა აღმოხდა ყელიდან, მაგრამ უცბად შეიმაგრა თავი და თავის მოხუც მეგობარს ალერსით უპასუხა:

— მხოლოდ შენ მოითმინე როგორმე. მე ავიტან ყველაფერს!

კარებმა დაიჭრიალა.

მოხუცნი თითქოს დაფრთხენო, შეშვოთდენ და თავიანთ სკამებზე დაეშვნენ.

კარებში გამოჩნდა ნაცნობი აფიცერი.

— ამ წუთში მოვა აქ თქვენი შვილი!—სთქვა მან რბილათ.

მშობლები ფეხზე წამოცვივდენ. ერთმანეთს მიუხლოვდენ და სულ განაბულებმა, გულის ფანცქალით კარებს მიაპყრეს თვალი. ორივე მოხუცი აშკარათ ჰგრძნობდენ ერთმანეთის თრთოლვას. ყრუთ მოისმა ადამიანის ფეხის ხმა. ხმაურობა თან და თან ახლოვდებოდა. უცბათ კარები ძალით გაიღო და შიგ შეიარაღებული ჯარის-კაცები გამოჩნდენ. მათ მოჰყვებოდათ, მსუბუქი, ახალგაზრდურის ნაბიჯით, ყმაწვილი კაცი. სწორეთ ის, ვისაც ასე აღელვებით ელოდებოდენ, ის მათი იმედ-ნუგეში, მათი საყვარელი ვაჟიშვილი! დიახ, ეს იყო ის, მათთვის დიდიხნის სანატრელი, ესე სასურველი, საყვარელი არსება...

გულამოსკვნილის ქვითინით შემოხვია შვილს ყელზე დედამ აცახცახებული ხელები, საბრალო მოხუცი მამაც შვილს გარშემო დასტრიალებდა, სცდილობდა გულში ჩაეკრა იგი, მაგრამ ჯერ დედას დაესაკუთრებინა...

ჟანდარმის აფიცერი შეშფოთდა: ვერც მან გაუძლო ამ სანახაობას, თვალი აარიდა. მან, ფანჯრისაკენ მიბრუნებულმა, ბნელსა და უიმედო არემარეს ცქერა დაუწყო: ამ საათშივე გაიგებენ... ამ საათშივე დაეშვება მის თავზე უკვე მოღერებული ულმობელი მახვილი... განა სულ ერთი არაა, რამოდენიმე საათის შემდეგ ამ მშვენიერი ჭაბუკისაგან მხოლოდ მოგონება-ღა დარჩება... იგი მიუბრუნდა ჯარის-კაცთ და ანიშნა გარედ

ოქტომბრისტების წინააღმდეგ იმოქმედებენ.

— პეტერბურგის გრადონაჩალნიკმა ხელმეორეთ აუკრძალა კადეტებს კრების გამართვა, თუმცა ნებართვა ნათხოვნი იყო 3 ივნისის კანონის და თვით გრადონაჩალნიკის განკარგულების თანახმათ.

— როგორც მოხსენებული გვქონდა, მეორე დუმის ყოფილ თავმჯდომარეს გოლოვინს განზრახვა აქვს მოსკოვში წამოაყენოს თავისი კანდიდატურა, მაგრამ აქ მას შემდეგი დაბრკოლება გადაეღობა წინ: საგუბერნიო საარჩევნო კომისიამ შარი მოსდო გოლოვინს, რომ მას მოსკოვში ცენზი აღარ აქვს, რადგან ის მთელი ოთხი თვე, სანამ დუმაში თავმჯდომარეობდა, აღარ ცხოვრობდა მოსკოვში თავის ბინაზე, რომლის ცენზის ძალითაც გოლოვინმა მოითხოვა საარჩევნო სიაში ჩაწერა. საიღბლოთ კომისიაში გამოირკვა, რომ კანონის ძალით არ შეიძლება გოლოვინს ცენზი წაერთვას და ამის გამო ყოფილი თავმჯდომარე შეტანილ იქნა საარჩევნო სიაში.

— გამოირკვა, რომ კადეტების კანდიდატებათ პეტერბურგის ქალაქის მეორე კურიაში წამოყენებული იქნებიან: მილიუკოვი, როდიჩევი და კოლიუბაკინი. კუტლერს და ი. გესენს მოუხსნიათ თავისი კანდიდატურა.

— პენზის გუბ. გოროდიშჩენსკის მაზრაში სამწუხარო სურათს თურმე წარმოადგენდა გლეხების რწმუნებულთა არჩევნები. მრავალმა ამომრჩეველმა, როცა არჩევნებზე მიდიოდა, სრულიად არ იცოდა, რომ რწმუნებულები უნდა აერჩია. ყველამ მხოლოდ ის იცოდა, რომ რაღაც სავოლოსტო ბეგარა უნდა მოეხადა. შეიკრიბნენ გლეხები. მამასახლისმა წინადადება მისცა მათ ორი რწმუნებული აერჩიათ. ვინ აირჩიონ არ იციან, აქ მამასახლისი უთითებს ერთ მდიდარ წურბელაზე, წინადადება ერთხმათ მიღებულ იქნა. შემდეგ ვოლოსტმა წინადადება მისცა აერჩიათ ყოფილი სტრაჟნიკი, ეს წინადადებაც მიღებულ იქნა. ორივე რწმუნებული მონარქისტია.

— მთელ რუსეთში არჩეულ იქნა 15 ათასამდე საგლეხო რწმუნებული—აქედან „რუსის ხალხის კავშირის" წევრი ძლივს 40 კაცი თუ იქნება.

## არჩევნები გურიაში
(22 სექტემბერი)

დამთავრდა მთელს გურიაში არჩევნები. დამთავრდა... და გაიმარჯვა ს.-დემოკრატიამ. დამარცხდენ შავრაზმელები, დამარცხდენ რეაქციონერები, გაიმარჯვა ხალხის სურვილმა. სამი ივნისის „მშვენიერ" აქტს გურიის წვრილ მემამულეთა ბანაკმა და გლეხ-კაცობამ ღირსეული პასუხი გასცა.

ყველასათვის ცხადია, თუ რამდენათ შეუკრა გზა არჩევნებში ხალხს სამი ივნისის განმარტებამ, ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ 3 ივნისის უკაზს კიდევ დაუმატა თავისი განმარტება და თითქმის 70 პროც. გაიდევნა საარჩევნო ასპარეზიდან. მხოლოდ თავად-აზნაურებს და სამღვდელოებას დარჩათ ბურთი და მოედანი. ამით დაშინებული ხალხი დარწმუნებული იყო, რომ გამარჯვება გურიაში რეაქციონერებს დარჩებოდათ.

რწმუნებულების არჩევა რა პირობებში მოხდა, ეს უკვე იცის მკითხველებმა.

დადგა 22 სექტემბერი. სამაზრო კრებაზე დაბარებულია გლეხთა კურიის მიწათ-მფლობელთა რწმუნებულები, (არჩევნები ქ. ოზურგეთში მოხდა) ქუჩებში სტრაჟნიკ-ინგუშების გამოფენილი, იქ სადაც „ვიბორჩია" „დიქტატურაა" გამოცხადებული, რწმუნებულს გარდა ვინც „ითავხედებს" და მივა, ვაი მას, მათრახი ჩვეულებრივია... არჩევნები კარჩაკეტილ დარბაზში სწარმოებს. ყველა წყნარათაა, დუმილია, ხანდახან დაბალი ხმით საუბარია, რწმუნებულებში „ჯგუფური" მუშაობაა.

3 საათზე არჩევნები დასრულდა. გლეხთა კურიის რწმუნებულებმა აირჩიეს 1 „ვიბორშჩიკი", მემამულეთა რწმ. 3 ვიბორშჩ. იყო კანდიდატი, მაგრამ ოთხი პარტიის მიერ წამოყენებული კანდიდატები გაათეთრეს, ასე ამგვარათ 4 ვიბორშჩიკი თითქმის ერთ ხმათ ს.-დ.-ები აირჩიეს.

ამგვარათ, „ხრიკებმა" ამათ ჩაიარა, ხალხმა თავისი წინააღმდეგობა დაანახვა რეაქციას და თავისი სურვილ-მისწრაფება გამოხატა.

ჰერკულესი.

## რუსთა კურიის ამომრჩევლების წინასწარი საარჩევნო კრება

26 სექტემბერს სალამოს ზუბალაშვილის სახალხო სახლში მოხდა წინასწარი კრება რუსთა ამომრჩევლებისა; კრებას დაესწრო 120 მეტი რუსი ამრჩეველი. კრების თავმჯდომარეთ დიდი ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა **სამოდუროვი** მეორე სახელმწიფო სათათბიროს „ვიბორშჩიკი". ილაპარაკა 20 მეტმა ორატორმა. უმთავრესათ, კრებაზე ჩანდა სამი პარტიის მიმდინარეობა: „რუსთა ამომრჩეველ კავშირისა თფილისში", „კადეტებ-პროგრესისტებისა" და „სოც.-დემოკრატებისა". ლაპარაკობდენ წარმომადგენელნი ზემოხსენებულ სამივე პარტიის სახელით. როგორც ეტყობა, რუსთა კავშირს შერცხვენია თავისათვის „პატრიოტების" ან „წმინდა რუსთა კავშირის" სახელი ეწოდებინა; ისინი ამ საარჩევნო კამპანიაში პროგრესისტ-ნაციონალისტებათ ევლინებიან რუსის ამომრჩევლებს, თუმც საცოდავებმა არ იციან, რომ „შუბი პარკში არ დაიმალება". მათ მიერ წამოყენებული კანდიდატები ყველასთვის უკვე ცნობილი „ჭეშმარიტ რუსები" არიან; სამართლიანათ შენიშნა ჭეშმარიტ რუსებს ერთმა სოც.-დემოკ. ორატორმა: „ჩვენ გვიანდა სახ. სათათბიროში გავგზავნოთ არა დიპლომიანი ბიუროკრატები, როგორებიც არიან საზოგადოებისათვის ცნობილნი: ანტონოვი, ვასილიევი, დემენტიევი, კოლაჩევსკი, ოდოევი, რუსანოვი და სხვები, არამედ ისეთები, რომლებსაც საზოგადოება სცნობს, როგორც ნამდვილ ხალხის შვილს, მუშისა და გლეხების მედგარ ინტერესების დამცველს.

ჭეშმარიტ რუსების შემდეგ ილაპარაკეს კადეტებმა. როგორც ეს ხშირათ ხდება ხოლმე, ისინი სცდილობდენ ორ სკამზე ჯდომას, ისინი არ მალავდენ, რომ მემარცხენეების ს. დ. წინააღმდეგნი არიან, მაინც ხანდისხან ს.-დემოკრატებისაკენ მშვენიერ კომპლიმენტებს ისროდენ: „რუსთა კავშირისაგან საფრთხე მოგველის, კარგი იქნება კადეტები და ს.-დემოკრატები შეერთდენ, რათა უზრუნველ ვყოთ პროგრესისტების გამარჯვება და რეაქციონერების დამარცხება"-ო. ტიპიური იყო „რეჩი" ერთი კ.-დემოკრატისა: მან მთელი თავისი სიტყვა მიანდომა იმას, რომ კრებისათვის დაენახვებინა, რომ ს.-დემოკრატები იმისთანა კანდიდატებს ასახელებენ, რომლებიც პროლეტარები არ არიან, მათ აქვთ სახლიც, ზოგს დუქანი, ერთი სიტყვით, ისინი არიან კერძო მესაკუთრეები". ამ სიტყვებმა დამსწრეებში სიცილ-ხარხარი გამოიწვია, ერთმა შენიშნა ორატორს, რომ მას დავიწყებია ის, რომ პროლეტარებს არ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ამნაირ არჩევნებში, გარდა ამისა ს. დ. პარტიის მიერ დასახელებული კანდიდატები ბურჟუები არ არიან. თუ წვრილი საკუთრება აქვთ, მასთან ისინი ს.-დემოკრატები არიან, სწამთ მუშათა და გლეხთა ინტერესები და მზათ არიან შესწირონ თავიანთი თავიც და თავისი საკუთრებაც, როდესაც ეს საჭირო იქნება. ილაპარაკეს ს.-დემოკრატებმა: მათ პირველათ უსაყვედურეს „რუსთა კავშირის" ორატორებს, რომ მათ არჩევნების დროს „იარლიკი" შეუცვლიათ და თავიანთ თავს „ჭეშმარიტ რუსებს" არ უწოდებენ. შემდეგ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს ყველას ნალაპარაკევი და მოუწოდეს რუს ამომრჩევლებს აერჩიათ იმისთანა ვიბორშჩიკები, რომელთაც სწამთ მუშათა კლასი, გაძარცვული გლეხკაცობა და რომლებიც მზათ არიან თავიანთი რწმენის გულისათვის აიტანონ ის ტანჯვა-წვალება და წამებაც კი, რომლებიც არ ხვდება ხოლმე არც ჭეშმარიტ რუსებს და არც კონსტ.-დემოკრატებს. მასთან წაიკითხეს სია იმ „ვიბორშჩიკების", რომლებიც წარმოდგენილია სოც.-დემოკრატიულ პარტიის მიერ. უკანასკნელს კრების დიდი უმეტესობა ტაშის ცემით მიეგება. რასაკვირველია, კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ერთმა შენიშნა „присутствующая власть не позволяетъ"-ო ადმინისტრაციის დასწრება ხელს უშლიდა. კრებამ 8 საათამდის გასტანა. რეზოლიუცია არ გამოუტანიათ სხვა და სხვა მიზეზების გამო, თუმცა ცხადზე უცხადესი იყო, რომელი პარტიის რეზოლიუცია გავიდოდა.

ე—ლ.

# რუსეთის ამბები

**ფინანსთა მინისტრი საზღვარ-გარეთ.** სატახტო ქალაქის გაზეთებს პარიჟიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ რუსეთის ფინანსთა მინისტრს კოკოვცევს არ მოუსურვებია რუსეთის ფინანსებზე ლაპარაკი ერთი ფრანგული გაზეთის თანამშრომელთან, რომელსაც უნახულებია იგი რუსეთის საქმეებზე მოსალაპარაკებლათ. კოკოვცევს განუცხადებია, პარიჟში მხოლოდ კერძო საქმეების თაობაზე ვარ ჩამოსულიო; შემდეგ მას უთქვამს—საზღვარ-გარეთის პრესა აზვიადებს რუსეთის მდელვარებასო, ეს პრესა მხოლოდ ოპოზიციონურ წყაროებიდან ღებულობს ცნობებსო. მეორე დუმის დათხოვნა აუცილებელი იყო, რადგან დუმა არ გამოხატავდა რუსის ხალხის აზრსაო. იმ კითხვაზე, თუ როგორი იქნება მომავალი დუმა, ფინანსთა მინისტრს უპასუხნია: მე წინასწარმეტყველი როდი ვარ.

**ებრაელების დათხოვნა უმაღლეს სასწავლებლიდან.** კიევის გენერალ-გუბერნატორს შეუტყობინებია პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დირექტორისთვის—შინაგან საქმეთა მინისტრისგან მოსული დეპეშის ძალით ინსტიტუტიდან უნდა გამორიცხულ იქნას 100 ებრაელიო. პოლიტეხნიკუმის საბჭომ განაცხადა—ჩვენ უფლება არა გვაქვს შევასრულოთ ეს განკარგულებაო. ინსტიტუტის დირექტორმა დეპეშათ აცნობა მინისტრს—თავს ვერ ვიდებ წესიერების დაცვას ინსტიტუტში თუ განკარგულება სისრულეში იქნა მოყვანილიო. ადგილობრივი მოკავშირენი დიდი ხ.ნის თურმე აგიტაციას ეწეოდა ინსტიტუტიდან ებრაელ სტუდენტების დასათხოვნათ.

**გრ. ლ. ნ. ტოლსტოის წერილი.** ლ. ტოლსტოიმ გაზ. „ნოვ. ვრემ."-ში შემდეგი შინაარსის წერილი მოათავსა: 20 წელიწადზე მეტია, სწერს გრაფი, საკუთრების მფლობელობაზე ხელი ავიღე და უძრავი ქონება მემკვიდრეებს გადავეციო. იმ გარემოებამ, რომ ხანდახან გაჭირვებულებს შემოწირულ ფულს ვურიგებ, და აგრეთვე გაზეთების მოუფიქრებელმა კორესპონდენციებმა შეცდომაში შეიყვანა ბევრნი, რომელნიც ხშირად ფულით დახმარებას მთხოვდნენო. ზოგი ფულსა მთხოვს სასწავლებლის გასათავებლათ, ე. ი. დიპლომის მისაღებათ; ზოგს-კი მართლაც გაჭირვება აიძულებს ფულის თხოვასო. როცა თხოვნებზე უარით ვუპასუხებდი, გაბრაზებასა და საყვედურებს მითვლიდენ; როცა სულ არ ვუპასუხებდი—მაშინაც ისეთ. ამის გამო გრაფი თხოვს ყველას, ვისაც დახმარება ესაჭიროება, აღარ მიმართონ მას. თუ მე ვიტყვიებ, რომ საკუთრებაზე ხელი ავიღე და ისევ ვფლობ მასო, ამბობს ბოლოს გრაფი, ასეთი კაცისაგან დახმარების მოლოდინი ხომ კიდევ უფრო ნაკლებ შესაძლებელიაო.

**მთავრობის გაზეთის პასუხი მაქსიმალისტების წერილზე.** ამას წინათ ჩვენ მოყვანილი გვქონდა მაქსიმალისტების ორგანოდან („კ მომენტუ") წერილი, რომლითაც ისინი აცხადებდნენ, რომ მათ [illegible] დენტი მოუკლავთ, რადგან იგი პროვოკატორი აღმოჩნდაო. ახლა მთავრობის გაზეთი „როსსია" ამ წერილის საპასუხოთ აცხადებს—მაკეიკო მაქსიმალისტებმა იმიტომ მოკლეს, რომ მან მათი ორგანიზაციის მიერ მოტაცებული ფული მიითვისაო.

**„არესტი" ბროშიურებზე.** პეტერბ. სიტყვის საქმეთა კომიტეტმა არესტი დაადო რუსულ ბროშიურებს: „რისთვის გარეკეს სახ. დუმა", „მეორე დუმის 103 დღე" და „სახ. დუმის სოც.-დემ. ფრაქციის მოქმედება".

**უმაღლესი ნებართვა „მოკავშირეთათვის".** ხელმწიფემ უმაღლესათ ნება დართო „რუსის ხალხის კავშირის" წევრებს ატარონ მკერდზე განსაკუთრებული ნიშანი.

**გრ. ლევ ტოლსტოის სახლზე თოფების სროლა,** როგორც ისმის, მოგონილი ყოფილა. თოფების სროლა აუტეხიათ მახლობელ მამულის დარაჯთა შესაშინებლათ გლეხებს, რომლებსაც დავა ქონიათ მემამულესთან ტყის გამო. მიუხედავათ საქმის გამორკვევისა, ლ. ტოლსტოის სოფელში კვლავ ჩაყენებული არიან სტრაჟნიკები, რაიც გრაფს ძლიან აწუხებს თურმე.

**ხათრით პანაშვილის გადახდა.** ამას წინათ გარდაიცვალა პირველ დუმის ყოფილი დეპუტატი და მის აგრარულ კომისიის ხელმძღვანელი, ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლათ ნაშყოფი ა. ა. მუხანოვი—კაცი, თავად-აზნაურთათვის განსაკუთრებით პატივსაცემი. ჩერნიგოვის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გლებოვმა წინადადება შეიტანა გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე—ჩვენი ჩვეულების თანახმათ და აგრეთვე იმის გამო, რომ „სიკვდილი ყველაფერს ასწორებს", მოდი—მუხანოვის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადავიხადოთო. ასე უხათრეს პანაშვიდი თავად-აზნაურებმა თავიანთ ყოფილ წინამძღოლს; თუმცა ეს უკანასკნელი ცოტა „მოიკრამოლნიკებდა", მარა „სიკვდილი ყველაფერს ასწორებს".

**ყოფილ დეპუტატის დატუსაღება.** მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი კირიჩენკო დატუსაღებულ იქნა, რადგან მას დააბრალეს ხელმძღვანელობა და წაქეზება იმ არეულობის გამოსაწვევათ, რომელიც ამას წინათ მოხდა უმანის მაზრის დაბა ლადიჟინში.

**ყოფილი დეპუტატის გაძევება სამსახურიდან.** უფის გუბერნატორმა წინადადება მისცა მირსკის სამასწავლებლო საბჭოს დაითხოვოს სამსახურიდან მეორე სახ. დუმის ყოფილი დეპუტატი, ბურაევის საერობო სკოლის მასწავლებელი ხასანოვი.

**მთავრობის ოფიციოზების საქმე.** გაზ. „როსსიას" და „ცნობათა ბიუროს" დახურვა მთავრობას მტკიცეთ ქონია განზრახული იმის გამო, რომ ამ ორგანოებს ვერ მოუპოვებია საზოგადოებაში ნდობა და ამიტომ ის აუარებელი ხარჯი, რომელსაც ეს ორგანოები ნთქავენ, უმიზნოთ და საზარალოთ მიუჩნევიათ.

**პეტერბურგის „ოხრანის" განყოფილებას** გადაუწყვეტია: პრესაში რომ მისი

---

გამოსულიყვენ...

— ვლადიმირ! ჩემო შვილო! ჩემო ძვირფასო, საყვარელო, დედის ერთავ!.. ცრემლის ღვრით ეუბნებოდა საბრალო მოხუცი დედა... რომელსაც შვილი მაგრად ჩაეკრა გულში...

— ვლადიმირ! ჩემო შვილო! ჩემო იმედო! გრძნობით წარმოსთქვა მამამ, და შვილის მაჯას მაგრად ხელი მოსჭიდა.

შვილი მორიგობით გადადიოდა მშობლების ხელში და მათი ცრემლები უსველებდა მას ლამაზ ხუჭუჭ თმას. ყმაწვილის გონება შეირყა. მთელ მის ხან-მოკლე სიცოცხლეში თუმცა ბევრგვარი განსაცდელი გადახდენოდა თავს, მაგრამ იმისი მსგავსი, რასაც ამჟამათ ის განიცდიდა, არა ახსოვდა-რა, არც მომხდარა... მარტო მოგონებაც კი მთელს მის აზროვნებას ადუნებდა... ის ვალდებულია, უთხრას—გაეგებიოს მშობლებს ყველაფერი...

წუთები გარბოდენ... დროს დაკარგვა შეუძლებელი იყო...

ჟანდარმის აფიცერი, ნერვებ აშლილი, ოთახში ჩქარის ნაბიჯით დადიოდა, მაგრამ მოხუცი დედა მას ეხლა ყურადღებას აღარც კი აქცევდა და განაგრძობდა:

— ვმადლობთ ღმერთს, ძლივს არ მოვესწარით შენს ნახვას შვილო... დავუსუსტდით, მოვიქანცენით დედა გენაცვალა... რაწამს შენი დატუსაღების ამბავი შევიტყეთ, იმ წამსვე აქ ქალაქში ჩამოვიჭერით. სად არ ვიყავით, ვინ არ შევაწუხეთ, ვერას გავხდით-რა... სად ან როგორ იყავი, ვერ შევიტყეთ. შემდეგ გავიგეთ რომ აქ ციხეში იყავ, შვილო, დაპატიმრებული. ოხ, დედავ მღვთისაო, რაც მე ცრემლი ვღვარე...

შევეცადენით შენს თავდებ-ქვეშ განთავისუფლებას, თუ რამ გვებადა მზათ ვიყავით შეგვეწირა ოღონდ შენ თვალით გვენახე... „არ შეიძლებაო", გვიპასუხეს. მხოლოდ ფულის გამოგზანის ნება დაგვრთეს. მიიღე შვილო ფული, განა?..

— მივიღე! იყო მოკლე პასუხი.

— ეგრე, გენაცვალოს დედა! ჰო, შემდეგ ვიწყეთ თხოვნა-მუდარა შენი ნახვის ნება მაინც დაერთოთ. „სამართალი იქნება და მაშინო"... რა სამართალი, სად ან როდის, ამის კი აღარაფერი გვითხრეს... გუშინ მეზობლის დედაკაცმა შემოგვიარა და გვითხრა: „თქვენს ვაჟზე უკვე ყოფილა კიდეც გასამართლება და ციხეში დატუსაღება მიუსჯიათო, ხოლო რისთვის ეს კი აღარ ვიციო"... შიშით გავგიჟდით... მოხუცი მამაშენი იმ წამსვე ამბის გასაგებათ წავიდა მაგრამ ამაოდ, ვერა გაიგორა... ეხლა კი, ამ შუაღამისას, უცბათ ზარი დაირეკა! რა ამბავია? ვხედავთ—შემოდის ბატონი აფიცერი, აი, მათი კეთილშობილება (მოხუცმა მიათითა გახარებულად მოსიარულე აფიცერზე), „მობრძანდითო", გვეუბნება, თქვენს ვაჟსა სურს თქვენი ნახვაო"... და აი, ჩვენც, ჩემო სიცოცხლევ... წამოიყვირა დედამ.

აფიცერმა ფრთხილათ საათს დახედა. ყმაწვილს არ დარჩა შეუნიშნავი ეს მოძრაობა.

— მამა! დედა! წამოიძახა მან და ჩაჩუმდა. მის ხმას რაღაც ყრუ უიმედო კილო ჰქონდა.

— დედა ჩემო!—შვილი კვლავ დადუმდა... და დედის ათრთოლებული ხელი მძიმეთ ტუჩებთან მიიტანა.

ამ არაჩვეულებრივმა შვილის ალერსმა მოხუცი დედა მთლათ აღელვა.

— ღმერთო ჩემო, ვლადიმ! შენ მიმალავ რაღაცას! რა გაქვს შვილო გულში? სთქვი, რაც გაქვს სათქმელი, ნუ სტანჯავ, შვილო, ისედაც ბედკრულს დედაშენს... გული შემომკვნესის, ალბათ გაქვს რაიმე სათქმელი, მალავ, მიმალავ მე, შენს მშობელ დედას!.. რას ნიშნავს ეს?! რა არის ეგეთი?! ჰა?.

— მამავ! წარმოსთქვა ყმაწვილმა კაცმა, და შეხედა მოხუცს პირდაპირ თვალებში.—შენზე, მამა ჩემო, შენზე ვამყარებ ჩემს მომავალ იმედებს... აიტანე შენც და შეაძლებინე დედასაც გადაიტანოს... მამა ჩემო!..

მოხუცმა, ღრმა გულის გამგმირავ შეხედვით უპასუხა. მისმა მრთოლვარე ხელმა მაგრა სტაცა შვილის მაჯას ხელი.

— კმარა. ყველაფერს მივხვდი. თითონ ვეტყვი.. შემდეგ... სახლში...

— რაო? როგორ?—შეღრიალა დედამ.

— გაფიცებ ამ შვილის სიყვარულს, მოფერებით მიმართა მან ცოლს. ნურაფერს ჰკითხავ მას ამჟამათ... ნუ ჰკითხავ... ვინახულეთ, კმარა. ხომ მენდობი მე?..

— გინდობი, რასაკვირველია, როგორც თვით ღმერთს, წაილაპარაკა ცოლი.

— მაშ მენდე! ეგრე სჯობია! მისთვის უმჯობესია... შემდეგ ვნახოთ, რაც იქნება, ეხლა კი... შვილო, ჩემო მეგობარო! შენ როგორღა ხარ?

— მამავ! ჩემზე გულდამშვიდებით იყავი... მე მოვახერხებ... საქმე თქვენზედაა. ეს ყველაზე უსაშინელესია ჩემთვის.., მდაბლათ გიკრავ თავს და გულმხურვალეთ გმადლობ დახმარებისათვის... ეგრეც ვიმედოვნებდი... ერთათ ვსცხოვრობდით, სხვა და სხვა გვარათ ვესჯელობდით, მაგრამ ღრმათ, გულდამშვიდებით გენდობოდი, მრწამდა, რომ სულიერათ მაინც ერთნი ვიყავით, და არც მოვტყუვდი... მითხარი; შენ უკვე იცოდი, როდესაც მოდიოდი აქ?..

— ვიცოდი!—თამამათ სთქვა მოხუცმა.

— რაო, რა იცოდი?! წამოიყვირა დედამ.—თუ რამ იცოდი, მე რათ მიმალავდი. ეხლა ორივენი ქარაგმებით რას ლაპარაკობთ?

— დედა ჩემო! ეგრე სჯობიან! დარწმუნდი—ყველასთვის ასე სჯობიან. შემიწრალე, საყვარელო დედა ჩემო, ნურასა მკითხავ...

აფიცერმა კვლავ დახედა საათს.

— ლაპარაკის დასრულების დროა!—თითქოს ლმობიერის კილოთი წარმოსთქვა მან, თუმცა კი არავისთვის არ შეუხედავს.

— მამა!—დაიჩქარა ვლადიმირმა!—გახსოვდეს მხოლოდ, რომ მე ვიცოდი ისე როგორცა ვხედავდი უკეთესათ, არა ჩემთვის, არამედ ყველასათვის, მთელის ხალხისთვის. მას მივეცი ჩემი სული, ვანაცვალე ჩემი თავისუფლება, შევწირე მთელი ჩემი სიცოცხლე... ჩემი მხურვალე სურვილი იყო, შეცვლილიყო ძველი წესი, დამყარებულიყო ყველასათვის თავისუფლება... რაც არ მოხდა ისე, როგორც მე მსურდა,—ეს მოიტანა დრომ, გარემოებამ...

— შეხვედრა გათავდა!—გაისმა აფიცრის ხმა.

— მშვიდობით ძვირფასო მშობლებო...

— როდის-ღა გნახავთ?—წამოიყვირა დედამ, და მაგრათ მოჰხვია ძვირფას არსებას დამჭკნარი ხელები.

— მალე!—რიხიანათ სთქვა მოხუცმა.—ეხლა კი კმარა, წავიდეთ!

— შვილო ჩემო! დამილოცნიხარ! იყავ ბოლომდე ისევე გაბედული, როგორათაც გიცნობს ბედკრული მამაშენი, ხმის კანკალით, წარმოსთქვა მოხუცმა,

... ოთახში დეზების წკრიალი გაისმა... კარებში გამოჩნდენ ჯარის კაცები.. გასვლისას ჭაბუკი ერთხელ კიდევ შემოტრიალდა, საყვარელ მშობლებს, უკანასკნელთა ხელით გამოესალმა და... მისი ლამაზი სახე სამუდამოთ მიიმალა...

ოთახში მწუხარე დედის მწარე ქვითინი ყრუთ გაისმოდა...

ჯაფარ-ფაშა.

საქმეების შესახებ ცნობები არ იბეჭდებოდეს, თვითეული დოკუმენტი, რომელიც-კი განყოფილებიდან ვისმე გადაეცემა, უნდა ჩაინიშნოს ცალკე წიგნში იმის ვინაობის ჩაწერით, ვისაც იგი გადაეცემა. როცა გაზეთში ცნობები დაიბეჭდება, ხსენებულ წიგნის შემწეობით შესაძლებელი იქნება იმ პირის აღმოჩენა, რომელსაც ცნობა გამოუქვეყნებია.

**სოფლად.**

— ქერჩის მაზრის სოფ. მარიევკაში მიწიერ მემამულის ფრანჩესკის შვილის დაბეზღებით პოლიციის გაუჩხრეკია გლეხები. ჩხრეკის დროს ფრანჩესკი თან ახლდა პოლიციას და უჩვენებდა უფრო „კრამოლნიკ“ გლეხების ქოხებს. აქა-იქ აღმოაჩინეს ესერული პროკლამაციები. როგორც ამბობენ, ფრანჩესკის სწორეთ ესერთა აგიტაციის გაძლიერების შიშით გამოიწვია პოლიცია. ჩხრეკის შემდეგ პოლიცია ღამის გასათევათ დარჩა ფრანჩესკისას. იმავე ღამეს ფრანჩესკის მამულში აგარდა ცეცხლის ალი: დაიწვა 4 ათასი მანეთის თივა. „პაჟარის“ დროს პოლიციას ფრანჩესკის სახლიდან ცხვირიც ვერ გამოუყვია გარეთ.

— დუხოვშჩინსკის მაზრის სოფ. აპოლიაში იარმუკობის დროს გლეხებსა და სტრაჟნიკებს შორის მოხდა შეტაკება. სტრაჟნიკებმა თოფები ესროლეს და რამდენიმე გლეხი დასჭრეს—ერთი სასიკვდილოთ.

— ნოვგოროდ-სევერსკის მაზრის დ. გრემიაჩში იარმუკობის დროს მოხდა არეულობა, რომელიც მაშინვე დააცხრო პოლიციამ და კაზაკებმა. როცა ამის შემდეგ იარმუკაზე ხელ-მეორეთ გამოჩნდა ბოქაული, მას გარს შემოერტყა გლეხების ბრბო და მუქარით მიიწია მაზე. ბოქაულმა წინადადება მისცა მათ გაშორებოდნენ და თან დაემუქრა—თუ ჩემზე ძალმომრეობა გაგიბედნიათ, იძულებული ვიქნები გესროლოთო. ამის პასუხათ გლეხებმა ბოქაულს ქვები და კეტები დაუშინეს. ორი მათგანი კი მივარდა მას, ერთმა ხელი უტაცა ხმალზე, მეორემ ქუდი წაალალა თავზე. ამ დროს მოიჭრნენ კაზაკები და პოლიცია, რომლებმაც წესიერება აღადგინეს. მოედანზე აღმოჩნდა ერთი გლეხის გვამი, რომელიც „წესიერების“ აღდგენის დროს მოეკლათ.

**სოციალისტთა კონგრესი ნანსში.**

(დასასრული, იხ. „ჩვენი გზა“ № 19).

როგორც წინა წერილში შევნიშნეთ ნანსის კონგრესმა დიდი კამათი გამოიწვია; ყველა მოკამათენი ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ გაიყვნენ. მარქსისტებ ანუ გედისტები უწინარეს ყოვლისა თხოულობდენ დახურულ კონგრესს; ჟორესის ამბობდენ, კონგრესი პარტიულია და მასზე მხოლოდ პარტიის წევრები უნდა დაესწრონო. გედისტების ასეთ მოსაზრებას მათთვის შინაური და ადმინისტრატიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინემ პროპაგანდისტული. გარდა ამისა, გედისტებმა აღნიშნეს საფრანგეთში სოციალისტურ პრესის სისუსტე. ბურჟუაზიული პრესა ჩვენ კონგრესის შესახებ ერთობ ყალბ და ცრუ ცნობებს აწვდის ხალხს, რომელსაც ჩვენთვის მეტი ზარალი მოაქვს, ვიდრე სარგებლობაო.

თუმცა გედისტების ასეთ აზრს თავის საპატიო მიზეზი აქვს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ თანამედროვე პოლიტიკურ პარტიისთვის საჯაროთ მსჯელობა ელემენტარული მცნებაა და ყოველგვარი საიდუმლოება მისთვის მამაკვდინებელია. ნანსის კონგრესმაც არ უარჰყო თავის ელემენტარული პრინციპი და კონგრესი, როგორც ჩვეულებრივი სოციალისტური კონგრესები, საჯარო იყო.

შემდეგ დაიწყო „ჰუმანიტე“-ს შესახებ ცხარე დებატები. უნდა ითქვას, რომ დებატები ძალიან მიუდგომლად სწარმოებდა. არავინ არ უსაყვედურებდა ჟორესს, „ჰუმანიტე“-ს, ხელმძღვანელს ანტისოციალისტურ მიმართულებას—გაანარქოსინდიკალისტებას. კონგრესზე კითხვა სულ სხვანაირათ იქნა დასმული. გვაქვს თუ არა უფლება აზრთა თავისუფლების სახელით ანარქისტებს და ანარქო-სინდიკალისტებს მივსცეთ იარაღი ანუ საშუალება ჩვენ წინაამღდეგ საბრძოლველათ? ასე უყურებდა ანარქო-სინდიკალისტების თანამშრომლობას პარტიულ — ცენტრალურ ორგანოში, როგორიც არის ჟორესის „ჰუმანიტე“, უმცირესობა ანუ გედისტები, მაგრამ უმრავლესობის ერთი მცირე ნაწილი 20—30 ხმამდე, როგორც სხვა მრავალ საკითხებს, ამასაც თავისებურათ, ყალბათ უყურებდენ. სინი იგაიძახოდენ, ანარქო-სინდიკალისტებს, როგორც პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენლებს, აქვთ ყოველგვარი უფლება ზნეობრივი და იურიდიული „ჰუმანიტე“-ში ითანამშრომლონო. ეს თეორიულათ ჭეშმარიტია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ანარქო-სინდიკალიზმს არავითარი მსგავსება არა აქვს სოციალდემოკრატიულ პროფესიონალურ კავშირებთან.

რაც შეეხება ანტიმილიტარიზმის საკითხს, ამაზე მოწინააღმდეგე მხარეებს ახალი არა უთქვამთ რა. დებატების ცენტრში იდგა, როგორც წინა კონგრესზე, „მოქალაქე ჰერვე“, რომელიც დიდის პაფოსით გაიძახოდა: „ჩემი მიზანი იყო და არის, რაც შეიძლება, მეტი აყალ-მაყალი, მეტი ხმაურობა“. ჰერვე იძახდა: ანტიმილიტარიზმის სისტემა თხოულობს ხალხმა არც ერთი კაცი და არც ერთი გროში არ მისცეს მთავრობასაო. ჰერვესის ასეთ ფრთით-ფურთი საფრანგეთის ცნობილმა ბურჟუაზიულმა ორგანომ „ტემპს“-მა თავისებურათ გამოიყენა სოციალისტების წინააღმდეგ და დიდის რიხით აუწყა მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნებს: აი, ასეთ სამსახურს უწევს მოქალაქე ჰერვესი სოციალდემოკრატიულ პარტიას და მის მოძღვრებას. სწორეთ გითხრათ: პროტესტის ღირსი იყო, როცა ზოგიერთებმა შტუტგარტის ინტერნაციონალურ კონგრესზე, ჰერვეს ანტიმილიტარისტული პროპაგანდა ამაგათ ჩაუთვალეს, ვითომ მან თავის ასეთ პროპაგანდით დიდი საქმე მოუტანა პარტიას. მხოლოდ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ჰერვემ თავის ანარქისტულ ანტიმილიტარიზმით კაპიტალისტთა კლასს მოუტანა დიდი სარგებლობა და არა მუშათა კლასს. იმ დრომდის, სანამ თანამედროვე ინტერნაციონალური სოციალისტური პარტიები არ შეიცვლიან თავის შეხედულებას ანარქიზმზე, ჩვენ მუდამ ვიტყვით, რომ იგი დიდათ ხელსაყრელი და სასარგებლოა კაპიტალიზმისთვის, ვინემ სოციალიზმისთვის. შეიძლება ჰერვესის გაბერილმა ანარქისტულმა ანტიმილიტარიზმმა ზოგიერთა ქუჩაში მოსიარულეთა შეკავშირება-მოძრაობა გამოიწვიოს, მაგრამ ჩვენ ვიტყვით, რომ ყოველგვარი ქუჩაზე ხეტიალი, ქუჩური მოძრაობა არ არის სოციალდემოკრატიული მოძრაობა, და არც რევოლიუციონური. განსაკუთრებით საფრანგეთზე შეიძლება ითქვას, რომ ჰერვესის ანარქისტულმა ანტიმილიტარიზმმა, ანუ სწორეთ რომ ვთქვათ—ჰერვეიზმმა—მილიტარიზმს და შოვინიზმს მეტათ განუმტკიცა ნიადაგი, ვიდრე ანტიმილიტარიზმს. შეგნებულს და დარწმუნებულ ანტიმილიტარისტს ჰერვესი ახალს არაფერს ეუბნება, მხოლოდ შეუგნებელ და განუვითარებელ მასსას, რომლებიც მილიონობით მოიპოვებიან, წინ ეღობება სოციალისტურ არმიის წრეში ჩადგომას; ჰერვესიზმმა სოციალისტურ პარტიასა და მასსას შორის წარმოშობა ერთნაირი ფატალური გაუგებრობა.

ბურჟუაზია ჰერვეიზმას ნამდვილ შინაარსს მიხვდა, თავის პრესაში მან განავითარა ერთნაირი ჰერვეიზმი, რომელიც თამამათ შეიძლება პარტიის უბედურებათ ჩაითვალოს. პარტიისთვის უფრო დიდ უბედურებათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჟორეს-ვალიანებმა ჰერვეს ნანსის კონგრესზე პარტიული უფლება მიანიჭეს, რომლითაც მან უკვე ისარგებლა შტუტგარტის ინტერნაციონალურ კონგრესზე. ჰერვეს რომ არ ქონოდა ასეთი ოფიციალური ადგილი პარტიაში, ის ასე შეკავშირებული არ იქნებოდა პარტიასთან, იგი ადრე თუ გვიან საშინელ კრიზისს განიცდიდა, მის სასაცილო ანარქისტულ იდეებს ბოლო მოეღებოდა. დიახ, ნანსის კონგრესზე ჰერვესის პარტიულ უფლების მინიჭებამ პარტიას დიდი ვნება მოუტანა.

რაც შეეხება დებატებს, პარტია და პროფესიონალურ კავშირებს შესახებ, ამაზედაც ის შეიძლება ითქვას, რაც პირველზე. ახალი ის იყო კონგრესზე, რომ ჰუბერტ ლაგარდელიმ პარტია და პროფესიონალურ კავშირების შესახებ, „წმინდა“ ანარქო-სინდიკალისტური თეოლოგიური აზრი გაატარა. მან გაკიცხა გედის „დაძველებული“ სოციალური თეორია-ტაქტიკა, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურა. იგი ქადაგებდა ერთნაირ ახალ სოციალიზმს, რომელმაც ჟორეს ვალიანის და მათ მეგობრებს შორის დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

ჰუბერტ ლაგარდელის სიტყვის შემდეგ ილაპარაკა გედმა, რომელმაც ერთობ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კონგრესის უმრავლესობაზე. მან დაგმო ანარქო-სოციალისტების ტაქტიკა, მართალია გედის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უმრავლესობაზე მათ სულიერ განწყობილებაზე, მაგრამ მაინც, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, კენჭის ყრის დროს უღალატეს გედის რეზოლიუციას და უმრავლესობამ 167 წინაამდეგ 141 ხმისა მიიღეს ჰერვესის და მის მეგობრების რეზოლიუცია, რომელიც შტუტგარტის ინტერნაციონალურ კონგრესზე თითქმის, ერთ ხმათ უარყვეს.

ამრიგათ, ის გარემოება, რომ ნანსის კონგრესზე ანარქო-სინდიკალისტებს პარტიული უფლება მიენიჭა და მიღებულ იქნა ანარქო სინდიკალური რეზოლიუცია, პარტიამ დიდ შეცდომათ მიიჩნია.

**შვარცი.**

## უცხოეთი

**ავსტრია.** რკინის გზის მოსამსახურეთა პასსიური წინაამღდეგობა. პირველ ოქტომბერს სახაზინო და ჩრდილოეთ დასავლეთის რკინის გზების ყველა მოსამსახურეებმა გამოაცხადეს პასსიური წინააღმდეგობა. მოსამსახურეთა კომისიამ მოითხოვა დირექციისაგან, ორ დღეში პასუხი მოგვეცით ქირის მომატების და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებო. ამავე დროს გაიფიცენ რკინის გზის სახელოსნოების მუშები პრაგაში, ვენაში და სხვა სადგურებში.

პირველ დღესვე რკინის გზაზე მიმოსვლა საქონლის მატარებლებისა შეჩვიანდა და მალე სულაც შეწყდა. თუ საქმე ასე გაგრძელდა 3—4 დღის განმავლობაში რკინის გზებზე სრულიათ შეწყდება მოძრაობა.

### წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ალაგი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ ჩვენს მცირე წერილს.

ამას წინათ როგორც, გაზეთების მკითხველებმა იციან, ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, დროებით თფილისში მყოფნი და მომუშავენი შეუდგით სოფელ ბაჯის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას. ზოგმა ფულით, ზოგმა წიგნებით და ასე ამნაირათ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ წიგნები გვარიან ბლობათ შევიძინეთ, რომელიც დავკაზმეთ, მარა ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ ვგზავნით, რადგანაც ნებართვას ველოდებით ქუთაისის გუბერნატორისაგან, რომელსაც უკვე კარგა ხანია რაც თხოვნა და კატალოგი აქვს წარდგენილი. როდესაც ჩვენ ეს საქმე დავიწყეთ ზოგიერთმა თვით ჩვენებურებმა, რომელნიც რკინის გზის სახელოსნოში მუშაობენ, ხელის შეწყობის მაგიერათ ხალხში პროვოკატორული ხმების გავრცელება დაიწყეს, რომ მაგათ ფულის შეჭმა უნდათ, არ მისცეთ არაფერიო და სხვა. ეს იმათ ჩაიდინეს პირადი ინტერესებით და არა საზოგადო მიზნით, რაზედაც ხალხი მართლა დააეჭვეს ჩვენში. მარა სინათლემ სიბნელეს სძლია და საქმე მაინც სასურველათ წავიდა, როგორც უკვე ვსთქვით ზემოთ, მშვენიერი ბიბლიოთეკა შევიძინეთ. აი ამ პროვოკატორებს ჩვენის მხრით დღეს ჩვენ უცხადებთ ზიზღსა და სიძულვილს და იმედია, რომ საზოგადოებაც მსჯავრს დასდებს ასეთ პირებს თავის დროზე.

ანგარიშები ყოველივე დაწვრილებით იქნება მალე გამოქვეყნებული გაზეთების საშვალებით.

სოფ. ბაჯის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების გამძრახველნი და მოთავენი: 1, ეგვენი დვალი; 2. მალაქია ქართუზაშვილი; 3. კოლია ქელიძე; 4. ვიქტორ ქელიძე; 5. ნესტორ შენდუქიძე.

—

მივიღეთ სუყველა ნომრები, „ჩვენი გზისა“. აქ კოლონიაა შემდგარი. ამ კოლონიაში არიან პოლონელები, რუსები და ქართ.; ყველას ყავს ამორჩეული თითო კაცი და ამათ აბარიათ ფულის საქმე, სამკითხველოს მოწყობა, ტანისამოსის შოვნა და სასადილოს მოწყობა. სასადილო უკვე მოაწყვეს, სამკითხველო გამართეს, მაგრამ არც ერთი ქართული წიგნი არ არის. მხოლოდ ეხლა ერთი თქვენი გაზეთია სხვა არაფერი. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ წიგნები ქართულ ენაზე. აგრეთვე გამოგვიგზავნოთ „დედა ენა“ ნივთიერი დახმარებაც მეტათ გვეჭირვება და იმედია იმასაც არ დაივიწყებთ.

ადრესი: ქ. ჩორნი-იარი, ასტრახანის გუბერნია, გადასახლებულთა კოლონია, ივანე ხაინდრავას.

### „ჩვენი გზის“ ფოსტა

**ზუგდიდი.** ვეკ უ ა ს. გაზეთი გეგზავნებათ.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

26 სექტემბერი

**კიევი.** სოფელ სადტანოვკაში მძარცველები შეეჭრნენ ერთ ებრაელს, მოიტაცეს 1000 მანეთი და მიიმალნენ.

ლაბა ტაგანჩა. აღმოაჩინეს ყალბი ფულების ფაბრიკა. დაიჭირეს სამი მუშა.

**ატკარსკი.** 25 სექტ. კოზლოვო-სარატოვის გზაზე 30 შეიარაღებული კაცი დაესხა საქონლის მატარებელს. პეტარდის შემწეობით მატარებელი გააჩერეს, მოიტაცეს ერთი ყუთი კალოშები, ერთი ყუთი საათები და ერთიც საოფთიაქო მასალები.

**ბაქო.** ცნობები ყველა ბიბი-ეიბათის სამრეწველო დაწესებულებათა გაფიცვის შესახებ ტყუილია. 26 ნავთის წარმოებათაგან 15-ში წესიერი მუშაობა სწარმოებდა. დღეს ყველა პრომისლებზე განაახლეს მუშაობა.

**ეკატერინოსლავი.** სადგურ ვერხნეუდინსკში ათი შეიარაღებული უცნობი დაეცა ფოსტის განყოფილებას. ამ დროს იქ იმყოფებოდა ფოსტალიონი და 5 სტრაჟნიკი. მძარცველებმა წაახდინეს ტელეფონი და ტელეგრაფი. ააფეთქეს რკინის შკაფი და წაიღეს 60,000 მანეთი. შეტაკების დროს მოკვდა ერთი სტრაჟნიკი და დაიჭრა ერთი „სიგნალშჩიკი“ და ტელეგრაფისტი.

**კიშინიოვი.** სოროკის ციხიდან გაიქცა 10 ტუსაღი. ზოგიერთ მათგანს კატორგა ქონდა გადაწყვეტილი. ტუსაღებმა იარაღი აყარეს მცველებს და თვითონ მშვიდობიანათ მიიმალნენ.

**ლიუბლინი** ცნობა იმის შესახებ, თითქო ხოლმსკის მაზრაში დაეტუსაღებინოთ 22 სოფლის მასწავლებელი, რომელნიც ურჩევდნენ გლეხებს ვ3. ევლოგის ნუ ამოირჩევთ სახელმწიფო დუმაშიო ტყუილია. დაიჭირეს და ისიც სხვა საქმეზე მხოლოდ 3 სოფლის მასწავლებელი.

**სევასტოპოლი.** დაიჭირეს იმ კაცის მკვლელი, რომლის გვამიც ყუთით გააგზავნეს და კიევში აღმოაჩინეს.

**სარაპული.** იჟევის ქარხანაში, ვიღაცამ დასჭრა მამასახლისი და ერთი გოროდოვოი.

**რეველი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ ექვსი დღის მსჯელობის შემდეგ დაამთავრა 1905 წელს, რაპელის სამაზრო სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა აკლების საქმე. ბრალდებულთაგან სამს გადაუწყვიტეს 6 წლით კატორგა ერთს ოთხი წლით, რვა კაცს გადასახლება და 18 კი გაამართლა.

**მინსკი.** სოფ. კაზლოვკაში დაიწვა 70 მოსახლე.

**კიევი.** პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დირექტორმა და დეკანებმა სამსახურს თავი დაანებეს. მიზეზი არის მთავრობის მიერ 15% ნორმის აღდგენა ებრაელთა შესახებ.

**ხოლერა**

**კიევი.** ავათ გახდა ხოლერით 8 კაცი, მოკვდა 2. ყველანი შავი მუშები არიან.

**ეკატერინოსლავი.** ავათ გახდა 4, მოკვდა 1 კაცი.

**კრასნოიარსკი.** სოფ. პოკროვსკაში ავათ გახდა 5 კაცი.

**ომსკი.** ავათ გახდა 25, მოკვდა 27.

**სარატოვი.** ავათ გახდა 5 კაცი, მოკვდა 2.

**ტობოლსკი.** სოფლებში ავათ გახდა 14, მოკვდა 6 კაცი.

**უცხოეთი**

**რაბატი.** საფრანგეთის ელჩი რენიო ადმირალ ფილიბერისა და გენერალ დრუდეს თანხლებით ეახლნენ სულთანს. რენიომ გადასცა სულთანის წერილი და მხურვალე სიტყვაში განუცხადა, რომ საფრანგეთი ბედნიერ სულთანთან მეგობრობით იმედოვნებს, რომ ის, სულთანი დროზედ აღადგენს დარღვეულ მშვიდობიანობას და თავისუფალ ვაჭრობას. სულთანმა თავის მხრივ დახმარება აღუთქვა საფრანგეთის მთავრობას და შეჰპირდა განზრახული რეფორმების შემოღებას. ამასთანავე რენიომ გადასცა სულთანს დიდი ჯვარი საპატიო ლეგიონისა.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ აცნობებენ თეირანიდან, რომ სპარლამენტო კომისიამ შეადგინა პასუხი ინგლის-რუსეთის შეთანხმებისა და გაეგზავნება აღნიშნულ სახელმწიფოებს გარეშე საქმეთა მინისტრის მიერ. პასუხში ნათქვამია, რომ სპარსეთი იქნება ერთგული მეგობარი მეზობელ სახელმწიფოთა, მაგრამ ის არ დაემორჩილება კონტროლს, ადგილობრივ მცხოვრებთა და გარეშეთათვის კონცესიის განაწილების საქმეში. არსებული კონცესიები კი ძალაში დარჩებიან მომავალშიაც.

**ბუდაპეშტი.** ავსტრო-უნგრეთის შეთანხმებას 25 სექტემბერს ხელი მოაწერეს მინისტრ-პრეზიდენტებმა და ორივე კაბინეტის წევრებმა.

**ლისსაბონი.** სამხრეთ [illegible] პორტუგალიის ჯარის გამარჯვებისა გამო გაიმართა მრავალი მანიფესტაცია.

**პეკინი.** ხმები იმის შესახებ თითქო ჩინეთის მთავრობა ბაჟს აწესებდეს რუსეთიდან შეტანილ საქონელზე სიცრუეა. ასეთი ბაჟი ედება იმ საქონელს, რომელიც თითონ ჩინელებს შეაქვთ.

**პარიჟი.** ხშირი გაფიცვების გამო ლოკაუტი გამოაცხადა 200 საოქრომჭედლო სახელოსნომ.

**სტამბოლი.** განხეთქილება მწვავდება. სპარსეთის საელჩოს არ მოსვლია ჯერ ცნობა ასვერბადის ამბების შესახებ.

**ტოკიო.** ხოლერა საოცრის სისწრაფით ვრცელდება. მუნიციპალიტეტმა განსაკუთრებული ზომები მიიღო ეპიდემიის წინააღმდეგ.

**ლალლამარნია.** საფრანგეთის მზვერავ რაზმს, რომელიც მოკავშირეთა დასაცველათ მიდიოდა, თავს დაესხა ჩასაფრებული ბენიასენები. რამოდენიმე კაცი დაიჭრა და მოკვდა. ბენიხასენები ძლიერ დაზარალდენ.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**იოსებ ზ. გიორგობიანი**

---


## განცხადებანი

**გოგირდის აბანო**

**თ. სუმბათაშვილებისა** (ვორონცოვის ქუჩა)

რადგან დაიწყო მუსულმანთა მარხვა **ორუჯა**, აბანო გაღებული იქნება 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე, როგორც საქმის, ისე უქმე დღეებში ღამის 12 საათამდე. (2—ფ—1)

---

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

**სკოლებში შესასწავლი**

**ქართველი მწერლები**

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ყდით თოთხმეტი შაური.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—6—5)

---

გაზ. „დრო“-ს რედაქციის დახურვის შემდეგ ხელში ჩამივარდა **ლ. ლასმანის** თარგმანი: **„პირველი სოციალდემოკრატიული ჯგუფი რუსეთში“**. ვთხოვ მთარგმნელს მოიკითხოს „ჩვენი გზის“ რედაქციაში. ველიკოკნიაჟ. ქ. № 35.


---

### მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—თფილისისა)

**თფილისიდან მიდის**

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

**თფილისში მოდის**

**ბაქოდგან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.)

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მდათოვის კუხძული, მუხრანსკისა სახლი № 1.